ხელშეკრულება №56
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფ.ფერია 28 ნოემბერი 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ -ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლეილა დუმბაძის სახით და მეორეს მხრივ, ფ/პ ომარ ცხვარაძე პირადი №61001023076, (შემდგომში - მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია გაზის ბოილერის შეკეთების მომსახურეობის შესყიდვა (CPV:50500000) ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1.შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს 187,5 (ასოთხმოცდაშვიდი ლარი 50 თეთრი) ლარს და მოიცავს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

4.1. სამუშაოს შესრულების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - სოფ. ფერია.

4.2. სამუშაო უნდა შესრულდეს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება. კერძოდ:

- დროულად შეაკეთოს გაზის ბოილერი.

დ) დაიცვას უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ნორმები;

ე) სამუშაოების პარალელურად, საკუთარი ძალებით და სახსრებით პერიოდულად გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი ნარჩენი მასალებისაგან.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლის დირექტორი ლეილა დუმბაძე.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. სამუშაოს შესრულების გარანტია

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

8.2. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება უნდა მოხდეს შეტყობინების მიღებიდან ხუთი დღის ვადაში.

მუხლი 9. ფორსმაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 13. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
სსიპ-ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა
მის.ხელვაჩაური, სოფელ ფერია
საიდენტიფიკაციო კოდი 248386697
ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯიას " ბათუმის ფილიალი
ბ/კ: UGEBGE22
ა/ა №GE15VT5500000000943408
ტელ. 25 32 23, 577 30 42 40

დირექტორი ოლიკა დუმბაძე

ბ.ა.

მიმწოდებელი:
ფ/პ ომარ ცხვარაძე
მის.ბათუმი ალ.პუშკინის ქ. N 150 ბ. 36
პირადი ნომერი 61001023076
სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი:BAGAGE22
ა/ა GE38BG0000000341114400
ტელ.593 918 949

ომარ ცხვარაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

სოფელი ფერია 28 ნოემბერი 2017 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ჩვენ ხელის მოწერით ვადასტურებთ,რომ ჩვენი მონაწილეობა სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლისა და ფ/პ:„ომარ ცხვარაძე-ს" შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №56(28/11/2017 წ.) ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტის შესყიდვის განხორციელებაში (გამარტივებული შესყიდვა) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის

სოფელ ფერიის საჯარო სკოლის

დირექტორი /ლ. დუმბაძე/

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის

სოფელ ფერიის საჯარო სკოლის

დირექტორის მოადგილე /თ. ბერიძე/

მიღება-ჩაბარების აქტი

სოფ. ფერია

29 ნოემბერი 2017წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ერთი მხრივ, სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა: (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") წარმოდგენილი მისი დირექტორის ლეილა დუმბაძის სახით და მეორეს მხრივ ფ/პ: ომარ ცხვარაძე(შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად") წარმოდგენილი მისი სახით ომარ ცხვარაძე წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტით ვადასტურებთ, რომ 2017 წლის 28 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება №56-ის თანახმად „მიმწოდებელმა" შემსყიდველს გაუწია, ხოლო შემსყიდველმა მიიღო სკოლის გაზის ბოილერის შეკეთების მომსახურეობა,ღირებულებით 187,5(ასოთხმოცდაშვიდი ლარი 50 თეთრი) ლარი

ზემოთ აღნიშნულს ვეთანხმებით,რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

„შემსყიდველი":

სსიპ-ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა
დირექტორი: /ლ.დუმბაძე/

„მიმწოდებელი"

ფ/პ:ომარ ცხვარაძე /ო.ცხვარაძე/